

საპროლეტარული სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ
30 ივლისი, შაბათი, 1988 წ.
№ 146 (9818) ● შპნ 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



გაგაუტა II საკავშირო სპორტული თამაშები

პირადი მოქმედება, გუნდური — ბრინჯაოსი

ჩარბახში გაიმართა ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების შეჯიბრება ავტოსამძღვრო სპორტში. საქართველოს ნაკრებმა მეტად დაძაბულ ბრძოლაში მესა-

მე ადგილი მოიპოვა. კარგად იასპარეზეს ჩვენმა ჭაბუკებმა პირადი პირველობაშიც. რადიოსამართავი მოდელების კლასში ყველას აჯობა ანდრეი გალუსტიანიც, საკორდო მოდელების კლასში მეორე ადგილი დაიკავა ვიქტორ შუმანმა, მესამე — კახა ძაგნიძემ. მეოთხე ადგილი ხვდა წილად ვალერი ფრანგიშვილს, რომელიც ასევე საკორდო მოდელების კლასში გამოდიოდა. უნდა აღინიშნოს ჩვენი გუნდის ყველაზე ნორჩი სპორტსმენის, 12 წლის სოსო ბოგოციშვილის წარმატებაც. მან რადიოსამართავი მოდელების ორ კლასში იასპარეზა და ორივეში მეორე ადგილები დაიკავა. გუნდის მწვრთნელის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თენგიზ ლატარიას აზრით, ამ ბიჭუნას კარგი პერსპექტივა აქვს.



ანდრეი გალუსტიანი.

სპორტის განვითარების სფეროებში

გაუზის საქართველოს სსრ მინისტროს საბჭოში გაიმართა მოჭადრე ქალთა მსოფლიო პირველობაზე მზადების მიზნით ჩატარებული სპორტული თამაშების დასრულება. ამ უზარმაზარი არმიის პატარა რაზმი ორიოდე დღის წინ სამშვიდობო მისიით ეწვია თბილისს. მას სათავეში ედგა დენ დრიუ, პროფესორი ექიმის, ინდონეზიის სპორტის პატარა ქალაქ ქასპერის მცხოვრები, ჩვენს ქვეყანაში უკვე ცნობილი კაცი, სამშვიდობო გარბენების თაოსანი.

თელავი, სადაც ეს პირველობა გაიმართდა, უახლოეს პერიოდში მთლიანად მზად იქნება სტუმრების მისაღებად. სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ჩხეიძემ.

სამშვიდობო გარბენი თბილისში

გარბენის შეერთებულ შტატებში ყოველ დღეს 35 მილიონი ადამიანი გამოდის მათთვის ტრადიციულ ქვეყნულ რიტუალს შესასრულებლად — სარბენად. რბენის მოყვარულთა ამ უზარმაზარი არმიის პატარა რაზმი ორიოდე დღის წინ სამშვიდობო მისიით ეწვია თბილისს. მას სათავეში ედგა დენ დრიუ, პროფესორი ექიმის, ინდონეზიის სპორტის პატარა ქალაქ ქასპერის მცხოვრები, ჩვენს ქვეყანაში უკვე ცნობილი კაცი, სამშვიდობო გარბენების თაოსანი.

როგორცაა სამშვიდობო მოძრაობა, — თქვა მან, — ბოლო წლებში ჩვენ თითქმის გამოვლდებით, დავრწმუნდით, რომ საქართველო ჩვენგანის აქტიური მოქმედება. თუ მშვიდობისათვის საყოველთაო ბრძოლა არ გავშალებთ, დავიდუბებით. სამშვიდობო გარბენები — მისაღები და გასაგები გახდა ბევრი ამერიკელი სტუმრის, მით უმეტეს, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი ადამიანი რბენით გატაცებული. ჩვენს კლუბს — „მშვიდობის მორბენლებს“ 40 ქალაქში აქვს ფილიალი. ჩვენი ჯგუფის



კლავინოპედის ლექსი

ლიპავაძე აქ მიმდინარე უნივერსიადის საფეხურით ტურნირის ზონალურ გათამაშებაში კლავინოპედურად წინა საქართველოს ზონტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევო ინსტიტუტის გუნდი. ჩვენმა ფეხბურთელებმა მესამე ტურში ფრედ ითამაშეს სომხეთის გუნდთან — 1:1 და კლავინოპედურად ინარჩუნებენ ლიდერობას.



ვლადიმერ-ნიკოლოზი

საქართველოს ფეხბურთელებმა გუნდში მორიგი თამაში ჩაატარეს მოლდავეთის გუნდთან და გამარჯვებულნი იყვნენ 2:1, რითაც საბოლოოდ გაინაღვეს ფინალში მონაწილეობის უფლება.

სამიდან-სამი

თბილისში უნივერსიადი-88-ის პროგრამით მიმდინარე კალათბურთულ ქალთა ზონალური ტურნირის მონაწილეობაში მონაწილეობა მიიღო ჩვენს გუნდს. სწორედ ამის გამო ბრძოლა უაღრესად მძაფრად და დაძაბულად მიმდინარეობს.



გათამაშებას ჯერჯერობით ლიდერობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი, რომელმაც პირველ ტურში გამარჯვების შემდეგ კიდევ ორი შეხვედრა მოიგო ჯერ მოლდავეთის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივთან 86:62 (51:38), შემდეგ კი ერთ-ერთ ფაქტორთან — რუსეთის პედინსტიტუტის (რსფსრ-11) გუნდთან — 90:76 (50:35). საქართველოს კალათბურთელებს სამ შეხვედრაში სამი გამარჯვება აქვთ მოპოვებული.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდიც, რომელმაც ბოლო ორ ტურში ორივე შეხვედრა მოიგო — აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან 91:60 (39:41) და უკრაინის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივთან 94:83 (50:40). აღსანიშნავია, რომ უკრაინელებთან მატჩში სომხეთის გუნდის ლიდერმა ალექსანდროვამ 50 ქულა შესძინა თავისიანებს.

უზენაესი ბრძოლა

სწორედ ბრძოლა, მთ ჩვენს ნაკრებს ვერაფერი არაგვს. დღეს თბილისის „ბურევესტნიკის“ სასახლეში ასპარეზობაში ჩაებმებთან დაშლილ მოთამაშეებში, ხოლო 2 საათზე დაიწყო ქალთა პირადი პირველობის ფინალი.

ფიზკულტურის ინსტიტუტი

1. საქართველო; 2. უკრაინა; 3. ლენინგრადი. რანჰა. 1. დ. რადკინი (ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტი); 2. ვ. გრიგორიევი (ყაზახეთის ფიზკულტურის ინსტიტუტი); 3. ვ. ევტუშენკო (კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტი). გუნდური. 1. უკრაინა; 2. რსფსრ; 3. ლენინგრადი.

შედეგები

შედეგები. 1. მ. ბაზაძე (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი); 2. ვ. მერდინოვი (ლენინგრადის

სახალხო განათლების სისტემის სპორტსკოლუბის აღსაზრდელთა საკავშირო შეჯიბრება

მესამე და მეხუთე ადგილებზე

მოსკოვი. დამთავრდა ტანმოვარჯიშეთა ტურნირი სახალხო განათლების სამინისტროს სისტემის სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრების პროგრამით. გოგონათა შორის ასპარეზობდნენ 1977-1978 წლებში დაბადებული სპორტსმენები. საქართველოს გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ: ხატია ფანიავილი, მანანა ბერუკაშვილი, ქეთინო გელაშვილი და შორენა ბერუკაშვილი 211 ქულა დააგროვა

და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, მასზე წინ იყვნენ: ლიტვის (219 ქულა) და სომხეთის (214) ნორჩი ტანმოვარჯიშეები. ჭაბუკთა ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა (1976-1977 წწ. დაბადებულნი) V ადგილი დაიკავეს — 316,8 ქულა. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: პაატა ზუბაშვილი, ალექსანდრე თვარუთიანი, ანზორ გრიგალაშვილი და მიხეილ ფეიქრიშვილი. თანაც პაატა ზუბაშვილი ორქულზე

გარჯიშში მესამე იყო — 18,3 ქულა. აქ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: 1. სომხეთი — 324,05 ქულა, 2. ლიტვა — 322,35 ქულა, 3. ბელარუსია — 321,9 ქულა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გოგონათა და ჭაბუკთა გუნდი მთლიანად თბილისის განათლების სამმართველოს ტანმოვარჯიშის სპორტული ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის აღსაზრდელთა იყო დაკომპლექტებული (სკოლის დირექტორი ომარ ღონღაძე).


ბირთვს კლუბის წევრები შეადგენენ

მახსოვს, თქვენი ჯგუფი შარშანაც ესტუმრა თბილისს. მიზანი იგივე გქონდათ. მართალია ბრძანდებით, წლებულსაც მოგვიწვია საქართველოს სპორტის კომიტეტმა და კვლავ სიამოვნებით დავთანხმდით. აქედან გავმეზღვარებით ბაქოში, პეიტორისკო, იალტაში, მინსკში, კიევიში და 13 ავგისტოს მოსკოვის მშვიდობის მართონში მივიღებთ მონაწილეობას...

დენ დრიუს ჯგუფი მოულოდნელად გაიზარდა... ჯგრის მონასტერთან; დრიუს თბილისში მეუღლე და ერთ-ერთი ვაჟიშვილიც ახლდნენ. უმცროსი დრიუს, ჯონს, ჯგრის მონასტერში ექსპურსიის დროს სრულიად შემთხვევით თავისი უნივერსიტეტის მასწავლებელი ბობ ფლინი უნახავს, რომელიც მოსკოვშია სტაჟირებაზე და საქართველოში სამი დღით ჩამოსულა. ალბათ წარმოიდგენო, რა შეხვედრა იქნებოდა! ფლინმა სასწრაფოდ დაითანხმა რამდენიმე კოლეგა და მათთან ერთად დრიუს ჯგუფს შეუერთდა. იგი შესანიშნავად ლაპარაკობს რუსულად (ამ საგანს ასწავლის უნივერსიტეტში) და მასთან საუბარში ჩვენი თარჯიმნის თამარ შალამბერიძის დახმარება აღარ დაგვჭირდა.

საფლავს. გარბენს ხელმძღვანელობდნენ თბილისის სპორტკომიტეტისა და ავტონისპექციის მუშაკები. — სიცხეში რბენას მიჩვეულნი ვართ და დისტანციებზე არ გავგვირგებია, — თქვა გარბენის შემდეგ დენ დრიუმ, — მით უმეტეს, ეს ღონისძიება საბჭოთა ადამიანებთან კავშირის დამყარებას და მეგობრობას ისახავდა მიზნად. ამისთვის ჩავატარებთ გარბენებს თქვენი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც. გზა მშვიდობისა, ბატონო დრიუ!

დენ დრიუს ჯგუფს სურდა მასპინძლებთან ერთად მიეწყო სამშვიდობო გარბენი. მართალია, თბილისში არიან რბენის მოყვარ-



ბობაჩი ნოზიშვილი.

ყოველ დღით ნადიკპარზე

მზის სიმაღლე შუბის ტარით აღარ გაიზომებოდა, როდესაც თელავის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ზაალ მაისურაძესთან ერთად ნადიკპარზე კომპაქტორის სახელობის სტადიონს ვეწვიეთ. შორიდანვე შევამჩნიეთ ცალ-ცალკე თუ ჯგუფურად მოვარჯიშე სხვადასხვა ასაკის ადამიანები. ზოგს „ქუნძულით“ სირბილი დაემთავრებინა და საერთო ფიზიკურ გამაჯანსაღებელ ვარჯიშებზე გადასულ-

საც გეტყვით, რატომ დავიწყებ ვარჯიში. უბანი უბანს ფეხბურთში ვეჯობებოდი. მალე დავივიწყე და საკმაოდ ცუდადაც ვიგრძენი თავი. სწორედ მაშინ გადავწყვიტე ვარჯიში დამეწყო. დღეს გული საითა მაქვს, აღარც კი მახსოვს, მაგრამ ჩემთვის მარტო ვარჯიში არ არის მთავარი. მოვარჯიშეები ერთმანეთს დავეუბნებოდით, ვსაუბრობთ კულტურაზე, პოლიტიკაზე...

შეგებით ვმუშაობ, თავისუფალ დღეებში კი აქ დადივარ. შევლთან ერთად. მოგესვენებთ, მძღოლის პროფესია: დაძაბულობა, ფიზიკური გადაღლა, სტრესები არ გვაქვია. აქ ვარჯიშის შემდეგ აშკარად ვატყობ, რომ ნაკლებად ვიღლები.

სტადიონს წრეს უვლიდა ახალგაზრდა წყვილი. გამოვვლია პარკი. ლალი კევიციანი ექიმი ყოფილა, მისი მეუღლე კობა იორდანიშვილი — ასპირანტი.

— გათხოვებამდე ვვარჯიშობდი. ახლა ექვსი თვის ბავშვი მყავს, დილით საშემოს ვაშეგე თუ არა, მე და ჩემი მეუღლე სტადიონზე გამოვრბივართ, — გვითხრა ლალიმ.

— ჩვენთვის ვარჯიში ყოველდღიური მოთხოვნილებაა, — საუბარში ჩაერია კობა იორდანიშვილი. — აღრე მეც ვვარჯიშობდი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. სპორტს რახანია თავი დავანებე, მაგრამ დილის ვარჯიშს ვერ შევწყვიტე. თუ რომელიმე დღეს ვარჯი-



იყო. მოთელა არც მაშინ შეუწყვეტიათ, როდესაც ფორთაპარტი მოვიმარჯვე. ამასობაში ზოგიერთმა ვარჯიში დაამთავრა. ერთ-ერთს გამოვუბნა პარკი. ექიმი მერაბ გზირიშვილი, 53 წლის:


— ოცდაათი წლიდან ყოველდღე ვვარჯიშობ, თუ თავსხმა წვიმა არ არის. ვარჯიშის შემდეგ ვცურავ ორ კილომეტრს. რას მაძლევს ვარჯიში? დავიწყებ იმით, რომ სტადიონურ წონას ვინარუნებ, ამაღლებული მაქვს ტონუსი. ვარჯიშის შემდეგ ყოველთვის დაღებული ემოციები მეუფლება. მგონი რაც ჩამოვთვალე, საქმარისია. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გითხრა, რომ ფიზიკულტურას ალბათ მეტი ავტოცია უნდა გავუწვიოთ. რატომღაც ბევრი თავს იმარტობს, მოუცულოდ ვარ. სამწუხაროდ, ისინი შემდეგ იძულებული ხდებიან ექიმთან სასიარულოდ მივიცლონ.

აკაკი სესიტაშვილი. ყოფილი სამხედრო მისამსახურე, ამჟამად პენსიონერი, 55 წლის:

— ექვსი წელია, რაც რეგულარულად დადივარ აქ. ბარემ იმა-



თბილისელი მოსწავლე, 11 წლის ზაზა ქურციკაშვილი, რომელიც სტუმრად ჩასულა თავის ბიძაშვილ ზურაბ დეკანოზიშვილთან, ცალკე ვარჯიშობდა. შორიახლოს იდგა ზურაბის მამა ელდარი. მას ვარჯიში უკვე დაემთავრებინა.



ში ვერ მოვახერხებ, თავს ისე ვვარჯიშობ, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი დამაკლდა. ვერ ვიტყვით, რომ მოვარჯიშეები შეჯიბრებზე უხალისოდ გვაპასუხობდნენ, მაგრამ მაინც უხერხულად ვგრძობდით თავს, რომ ვარჯიშს ვაწყვეტილებდით და მეტი აღარც ჩვენ შეგვიწუხებია.

ჯამალ აბსრაძე.

ვინ როგორი სპორტული საზოგადოებრივანაა?

„ლელოს“ 28 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „შედგენი ციფრებსა და პროცენტებში“. ამ პუბლიკაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტულ საზოგადოებებში, ორგანიზაციებსა და უწყებებში — შედეგებში ხომ ცხადად წარმოჩნდა ვინ როგორ გაისარჯა მიმიღწერა წლის პირველ ნახევარში. საკითხმა, თუ რომელ სპორტულ ორგანიზაციას უნდა მიეკუთვნოს (ძირითადად ან საზიაროდ) ესა თუ ის სპორტმენი, დაზუსტება მოითხოვა. მაგალითად, სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ-

ების მომზადების ოფიციალურ მონაცემებში შეტანილია შესწორებები. გურამ ვედუხაური, ხრისტინა ფალასანიდი და ლევან სისაური პროფესორების წარმომადგენლები არიან, თენგიზ თედორაძე, ვლადიმერ გოგოლაძე, ამირან ტოტიკაშვილი, გიორგი თენაძე, კობა კურტიანიძე და კახაბერ კახიანიშვილი ერთდროულად გამოდიოდნენ პროფკავშირებისა და ასკ-ს სახელით. გიორგი ჩოგოვაძის წარმატებები კი პარალელურად ეთვლება „დინამოს“ და პროფკავშირებს.

მოკლად

ზიათურის სპორტკომიტეტის „მალაროლის“ საუკეთესო ბავშვებზე ჩატარდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პირველობა მშდ მრავალდღიური ქალაქებსა და რაიონების ნაკრებ გუნდებს შორის. შეჯიბრებაზე თავი გამოიჩინა მსუბუქი მრეწველობის სპორტკლუბმა „ივერიამი“, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა პირველობა. მეორე ადგილზეა „მეტალურგიული“ მრეწველობის სპორტული კლუბი „მადაროლი“ (ქ. ჭიათურა), მესამეზე — მეტალურგიული მრეწველობის სპორტული კლუბი „ფოლადი“ (ქ. რუსთავი).

ვატა ლუკსანაშვილი. „ლელოს“ კორ.

პიონერული ზაფხული-88

სიხმას ვერ ბრძნობენ ბრონეულაში

შუაგული ივლისის გამთანგავი სიციხე ყველას მოგესვენებთ. არც წლიდანელი ზაფხულია გამონაკლისი, მიწა ღულს და გადმოღულს იმერეთშიც. ბრონეულას საშუალო სკოლა-ინტერნატი კი ასე ძალუძდა არ იგრძნობა ბუნების „გვირაგობა“. მწვეანშია ჩაფლული სკოლა-ინტერნატი. მაგრამ მთავარი მიზეზი იმისა, რომ ინტერნატის ბაზაზე მოწყობილი აქტიური სწავლების ბანაკის წევრები ვერ გრძნობენ დიდ სიციხეს, ის შინაარსიანი ღვინოები გახლავთ, თითქმის მთელი თვე რომ სუფევს ბანაკში. ბრონეულაში წყალტუბოს ზონის საშუალო სკოლების კომპაქტორის კომიტეტის მოღვაწეები, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები ისვენებენ. სულ 120 ზაფხულია თითო ნაკადში, უმეტესობას გოგონები შეადგენენ და თითქოს, რატომღაც, ასეთ შემთხვევაში ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობა ჩამოიღო უნდა იყოს, მა-

გრამ, საბედნიეროდ, ამჟერად ასე არ არის საქმე. სხვაგვარად შეუძლებელია — სკოლა-ინტერნატის ტერიტორიაზე არსებული ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნების, დარბაზის მოედნების მართლაც დანაშაული იქნებოდა.

ბანაკის დირექტორმა დემურ წვერაძემ სპორტული ღონისძიებების გეგმა გააკვიცნო. ფიზიკულტურის მასწავლებლის თაოსნობით მოზარდებს ჩაუტარებიათ სპორტკლუბის მსგავსი შეჯიბრება მშდ კომპლექსის რამდენიმე სახეობაში, დიდი ინტერესი გამოუწვევია ფრენბურთელთა ტურნირის.

ფიზიკური წრთობა კი ბანაკში დილიდან იწყება. რვის ნახევარზე დილის გამაშხნეველი ვარჯიშია, მერე კი ფეხბურთის მოედნის ირგვლივ — მძლეოსნური კრისი.

— ეზოშივეა დამონტაჟებული დერბი, ორბილი და შედური კედელი. ამ იარაღებზე რიგი დავას, თუმცა მათზე ვარჯიში სურვილის მიხედვითაა, — გვიხსნის დ. წვერაძე. — 7 გზისს გავუთის ციხეზე

მოვაწყვეთ ლაშქრობა. სხვათა შორის, დილაობით შემოვიღეთ და-ცვარულ ბალახზე ფეხმარება სირბილი, რაც ყველას მოეწონა, გარდა ამისა, ბავშვებისთვის აუცილებელია ტანის წყლით დაწვევა. როგორც ბანაკის დირექტორმა გვითხრა, ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობისთვის ბანაკში 252 მანეთი ყოფილა გამოყოფილი. ჩვენი სტუმრობის დროს მაგიდის ჩოგბურთის მაგიდებისა და ინვენტარის შემოტანაზე იყო საუბარი, ხოლო რამდენიმე დღეში გოგონათა ფეხბურთის ტურნირის ჩატარებას აპირებდნენ.

...და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს სპორტული ბანაკი არ არის და მოსწავლეებს სხვა ბევრი საქმე აქვთ ფიზიკულტურასა და სპორტში მეცადინეობის გარდა, დაგვთანხმებით, სიციხე და პაანაქება აღარავის ეხსიამება ბრონეულაში.

დავით გუარული, „ლელოს“ ხმეც. კორ.

გაითხველთა წერილები

ბარბე თაოსნობა უნდა დაიხვეწოს

აბიტურიენტთათვის ფიზიკური მომზადებაში ჩათვლის შემოღება ნამდვილად ღრთული და აუცილებელი იყო. ამ ერთი თვის განმავლობაში ნორმატივების მიმღებ კომისიაში მუშაობისას საუბარი მქონდა აბიტურიენტებთან და მათ შრომობებთან, რომელთა უმრავლესობა ამ სიახლეს დადებით შეფასებას აძლევს. მას შემდეგ, რაც პრესაში ნორმატივების ჩაბარების შესახებ გამოცხადდა, ქალაქში გამოცოცხლება იგრძნობოდა, ახალგაზრდებმა მასობრივად დაიწყეს ვარჯიში. ივნისის პირველ რიცხვებში ბევრმა აბიტურიენტმა ჩააბარა ნორმატივები, ხოლო მათ, ვინც ეს პირველ ცდაზე ვერ შეძლეს, ორი კვირის შემდეგ კიდევ ერთხელ სცადეს ძალი და მიზანს მიაღწიეს. მართლაც ეს ფაქტია საქმარისი იმისათვის, რომ სიახლე დადებითად შევაფასოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნორმატივების ჩაბარებისას ვაყენებთ გაცილებით კარგ მომზადებას გამოამქვავნეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ძალიან ბევრ ახალგაზრდას თითქმის არა აქვს „ფიზიკური განათლება“. შედეგებს რომ თავი დავანებოთ, წარმოადგენს კი არა აქვთ ელემენტარულ საკითხებზე. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საშუალო სკოლებ-

ში, რბილად რომ ვთქვათ, მუშაობა მოისუსტებს. თუმცა, ეს მხოლოდ სკოლების ბრალი არაა, სპორტული ბავშვების უქონლობა მათ ძალიან უშლით ხელს.

სამწუხაროდ, უნდა ვალიაროთ, რომ ახალგაზრდობის უმრავლესობა არც ცურვა იცის.

ახალ წამოწყებას ყოველთვის აქვს რალაც ნაკლი, რომელიც შემდგომშია გასათვალისწინებელი. ვფიქრობთ, მომავლისათვის ნორმატივები უნდა დაიხვეწოს და ნაწილობრივ გაართულებს კიდევ.

თუ გვინდა, რომ ეს ფრიად სასარგებლო საქმე მტკიცად დამკვიდრდეს ჩვენს ცხოვრებაში, ხეტქმებერ-ოქტომბერში უნდა გამოცხადდეს დებულება და ნორმატივები. ეს იმის საწინდარი იქნება, რომ მომავალი აბიტურიენტები მთელი წლის განმავლობაში ივარჯიშებენ.

ჩვენი აზრით, ფიზიკური ვარჯიშის დასაწყებად დიდი სტიმული იქნება თუ აბიტურიენტს, რომელიც ნორმატივებს ჩააბარებს, ერთი ან თუნდაც ნახევარი ქულა დაერიცხება.

ელვაჯა ქოჩაშვილი, თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელი.

რატომ გპრჩება უპრადლეზიან?

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელის გულშემოტყვიარი ვარ 1976 წლიდან. ვერაფერს გეტყვით 30-60-იანი წლების „დინამოზე“, მაგრამ მჯერა, რომ მაშინდელი ფეხბურთელები სათამაშოდ რომ გამოდიოდნენ, პირველ ყოვლისა შევხებულე პქონდა, რომ ისინი თავის რესპუბლიკის, თავის ხალხის ინტერესებს იცავდნენ. ისინი ალბათ რალაცნაირად ამ გრძნობით ანთებულეები გადიოდნენ მოედანზე. იგივე უნდა ითქვას 1976-1981 წლების „დინამოზე“. ახლა ვიკითხობ, ზარუნავენ თუ არა ჩვენი ფეხბურთის მესვეურები და თქვენი გაზეთი თუნდაც იმისათვის, რომ თბილისის „დინამოს“ გაუღვივოს

ოღინდელი შემართების სურვილი? მე ვიტყვი, რომ არაა ერთხელ იმანეც კი არ გვიბრუნია, რომ ფეხბურთელთა მისურებზე გამოვსახნო რაიმე ქართული სიმბოლო, ახდა ჯანა ასე ძნელია მისურებზე იგივე „დინამო“ ქართულად რომ დაიწეროს? „სოვეტსკი სპორტმა“ წლებადელი საფეხბურთო სეზონის დაწყების წინ გამოაქვეყნა უმაღლესი ლიგის საკლუბო გუნდების სიმბოლოები ნიმუშები. თუ ჩვენი მხატვრები საინტერესოს ვერაფერს ქმნიან, იმ შემთავაზებულ ვარიანტებს მაინც დავესესხოთ.

აკონ მობრიაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი.

გაადლოთ, აქივაპო!

რესპუბლიკის ვეტერანი სპორტმენები მთელი ჩვენი საზოგადოების ყურადღებით არიან გარემოსილი, მაგრამ განსაკუთრებულ გულსხმიერებას ჩვენდამი მაინც მედიცინის მუშაკები იჩენენ. ეს არცაა გასაკვირი.

სულ ახლახან საავადმყოფოში ერთად ვმეტრნალობდით ამ სამადლობელი წერილის ავტორები.

მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს მედპერსონალმა ყველაფერი გააკეთა ჩვენი გამოჯანმრთლებისთვის, რაზეც დიდ მადლობას ვუხდით მკურნალებს, კერძოდ, განყოფილების გამაგებს მერაბ მაძაცაშვილს, ვა ბერიძეს, თამაზ გუგუშვილს, ექიმებს ელენე თოდაძეს, ლალი ჯორბენაძეს, ნინო ბედინიშვილს, ნინო ხეიჯაძეს და დიასახლისს „დედა მაროს“.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო თბილისის დინამოელ კალათბურთელთა ყოფილი მწვრთნელის სპორტის დამსახურებელი ოსტატისა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის გიორგი ავალიშვილის ქალიშვილის თამარის მზრუნველობა, რომელსაც ეს ახალგაზრდა ექიმი მაშინ მეგობრების მიმართ იჩენდა.

ოთარ დივაუალიძე, რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

ვალვა ვორბანაშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სპარტაპ ბახტაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.


სკოლიდან დავიწყით

ამას წინათ წავიკითხე „ლელოს“ გამოქვეყნებული მოწინავე წერილი „ყოფითი ნაკომანის სახე“. ყველაფერში გვთანხმებით, მართლაც დაღდა დრო ერთხელ და საშუალოდ აიკრძალოს თამაშის წევა. მაგრამ რა საშუალებით? რა ღონისძიებები შეიძლება გატარდეს თამაშის მწველთა წინააღმდეგ? სხვებთან ერთად მეც უნდა გამოვეთქვა საკუთარი აზრი. სკოლებში სერვიზული ყურადღება უნდა

მიექცეს თამაშის მავნების პროპაგანდას, ბავშვებს თავიდანვე უნდა ჩაუნერგონ, თუ რა საშიშრელება მოაქვს ნიკოტინს. მთავარი ხომ ჯანმრთელობაა, რატომ გვაიწყებება ეს?

იმედია, ამ საქმეში გულგრილობას აღარ გამოვიჩენთ.

გორანა დარქულიძე, თბილისი. VIII კლასის მოსწავლე.



იხსჯალს საუბარით ღისცილინაზე

ხალ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგება სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მეტად საინტერესო მატჩი თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის.

დღევანდელი მატჩი საკავშირო ჩემპიონატებში ერთმანეთს 1936 წლის შემოდგომიდან გვხვდება. ვინ მოთვლის, რამდენი ღირსასხივარი, საინტერესო მატჩი ჩაუტარებიათ ერთმანეთს დინამოელებსა და სპარტაკელებს, რამდენი სახელმწიფო ოსტატი აღზრდილა ამ კოლექტივებში? მაგრამ, თუ წარსულ წლებში ეს გუნდები უმთავრესად მოწინავე პოზიციების შესანარჩუნებლად იბრძოდნენ, დღეს საქმე სხვაგვარადაა.

„სპარტაკი“ ჩემპიონატის ლიდერთა შორისა და ენერგიულად იბრძვის ჩემპიონობის, ან სპარჩო ადგილის მოსაპოვებლად, მაგრამ გუნდს მაინც აქვს გარკვეული პრობლემები. კერძოდ, წამყვანი ფეხბურთელის ვ. ხიდიელის საფრანგეთის „ტულუზში“ გადასვლამ გარკვეული სიძნელეები შეუქმნა სპარტაკელთა დაცვას.

სულ სხვაგვარადაა თბილისის „დინამოს“ საქმეები, მისი პრობლემებიც გაცილებით უფრო რთულია. ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ გუნდმა შეინარჩუნოს ადგილი უმაღლეს ლიგაში. ამიტომაც თითოეულ მატჩს, ყოველ ქულას ჩვენი გუნდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) მატჩი საგანგებო ინტერესს იწვევს, მის შედეგზე დიდადაა დამოკიდებული მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა.

გვიყვარს და გვჯერა

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს მიმეღებო დაუდგათ. მიმეღებო დაგვიღებო გუნდს, გუნდის ძეგლს, ერთგულ გულშემატკივრებს. ახლა ყოველ ქულას, ყოველ გამარჯვებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ხელიდან გაშვებული უმნიშვნელო შენსიც კი ქართული ფეხბურთისთვის საფალო შეიძლება გამოდგეს, ამას ხალხიც კარგად გრძობს და, რაც მთავარია, გუნდიც.

ქართული კაცი შეჩვეულია ძნელბედობის ქაშის სიმხნევებსა და თანადგომას. ჩვენს გუნდს ახლა ყველაზე მეტად მხარში ამოდგომა სჭირდება, მხარში ამოდგომა გულშემატკივრებისა, ხალხისა, მთელი ერისა, ჩამდვლიმა თანადგომამ, კი-

რის გაზიარების სურვილმა შეიძლება სასწაულები მოახდინოს, გუნდს რწმენა დაუბრუნოს, გაახალისოს, ახლებურად დაანახოს და შეაფასებინოს რეალურობა.

ასეთი უეცარი შემობრუნება სპორტში ბევრჯერ გვინახავს და ყოველთვის, როგორც წესი, იგი სპორტსმენებისა და მათი თავდადებას, კომპაზების კოლექტიური ძალიანსმევის შედეგი იყო. დარწმუნებული ვარ, ახლაც უსათუოდ ასე მოხდება. იმიტომ, რომ ფეხბურთის სიყვარულს ვერავინ წაგვართმევს და კიდევ იმიტომ, რომ გვჯერა ჩვენი გუნდისა.

გიგა ლორთქიფანიძე,
სსრ კავშირის ხახალხო არტიტი.

ერთსულოვნება გვეჭირდება!

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის დღევანდელ უაღრესად არასახარბიელო მდგომარეობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ყველა კარგად ვიცით, რომ ჩვენი სახელოვანი გუნდი ერთობ-შორის დგას თავისი ხანგრძლივი ისტორიის ტრადიციებისგან და საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასასრულს გათამაშების ცხრილში ბოლოსწინა, მეთხუთმეტე ადგილზე იმყოფება.

ერთი რამ ცხადია: თუ ჩვენმა გუნდმა მომავალშიც ასე ითამაშა, თუ მან შევეთრად არ გათქვამდეს მდგომარეობა, სრული სიცხადით დავდგება საკითხი დინამოელთა უმადლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნის შესახებ. მსგავსი რამ კი ჩვენი გუნდის ისტორიაში არ მომხდარა!

და მით უფრო საჭიროა ყველამ სწორედ ახლა, ამ უმძიმეს პირობებში ერთსულოვნება გამოვიჩინოთ და დავიარაზოთ ჩვენი პოზიციების გასამტკიცებლად. მართალია, გუნდს უჭირს, მართალია, ბევრი მოთამაშე ვერ პასუხობს უმაღლესი ლიგის მკაცრ მოთხოვნებს და მით უფრო საჭიროა გულშემატკივრება ხელშეწყობა, მხარდაჭერა, დახმარება.

მთელი ცხოვრება ფეხბურთში გამიტარებია და კარგად ვიცი, რას ნიშნავს როცა ტრიბუნები მხარს უჭერენ გუნდს. ამიტომაც ნუ დავიშურებთ ნურაფერს, ყოველნაირად ვუქმნავთ თბილისის „დინამოს“, მოვეხმაროთ მას, რათა ადგილი შეინარჩუნოს სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ეს თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებთ უპირველესი მოვალეობაა, ამიტომაც პირნათლად შევასრულოთ ჩვენი ეს მოვალეობა!

ნესტორ ჩხატარაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში.

საპარტიზმლოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის ამასწინანდელ სხდომაზე სრული სიმკაცრით იმსჯელეს წესრიგის დარღვევათა ფაქტებზე. მარნეულის რაიონის „კოლმეურნის“ წევრმა კ. ყარაევმა ლანძღვა-გინებით აიკლო მატჩის არბიტრი. რა სახელოს იმსახურებს ფეხბურთელი, რომელიც უტიფრად მიმართავს მსაჯს? მას 15 მატჩი მიეცა დისკვალიფიკაცია და ეს სასჯელი ჰქვიათ სასწავლებლად უნდა იქცეს როგორც უშუალოდ კ. ყარაევს, ისე მის მსგავსთათვისაც. ახვეე უდიერად მოქცა მსაჯს ბორჯომის რაიონის ახალდაბად „მე-ავიჯეს“ გუნდის წევრი ვ. ჩაღუნელი, მანაც სიტყვიერად შეურაცხყო მსაჯი, რისთვისაც 18 თამაშით მიიღო დისკვალიფიკაცია.

მსაჯის მასხრად ავღებ დააბირა წითელწყაროს „შირაქის“ ფეხბურთელმა ზ. დათუიშვილმა, ამიტომაც სასჯელმაც არ დააუფნა — დისკვალიფიკაცია 6 კალენდარული მატჩით.

აღნიშნული გუნდების მწვრთნელების მიეთითათ, რომ კოლექტივებში, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, არ მიმდინარეობს პოლიტიკური-მორალური მუშაობა, ფეხბურთელებთან არ საუბრობენ დისციპლინაზე და ამიტომაც, რომ წესრიგის დარღვევას ჩვენს გუნდებში სისტემატური ხასიათი მიეცა.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა თვით მწვრთნელებიც და სპორტული მუშაკებიც გამოირჩევიან თავშეუკავებლობით, უწესრიგობით, ამისი მაგალითები საქმარისად მოგვემოვიყვინო.

მკაცრი მსჯელობის საგანდ იქცა გეგმეკორის სტადიონზე მომდინარე ინციდენტი. გეგმეკორის „სალხინო“ მასპინძლობდა ორამჩრის „ამირანს“. მსაჯთა დამინიშნავმა კომისიამ მატჩზე კვალიფიკაციური ბრძოლა მიავლინა ტ. ნიშნიანისს, ნ. კილაძისა და რ. წულაიას შემადგენლობით.

ორამჩრელმა ფეხბურთელმა ამ მატჩში მაღალი სანებისყოფო თვისებები და სპორტული ბრძო-

ლისუნარიანობა გამოავლინეს და გამარჯვებს კიდევ. ამით განაწყენებულმა ადგილობრივმა ვაი-გულშემატკივრებმა ერთმა ჯგუფმა თამაშის დამთავრების შემდეგ იქვე, მინდორზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯებს. ადგილობრივ სპორტის მსხვერუს, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს არავითარი ზომები არ მიუღიათ მსაჯთა დასაცავად, პირიქით, სტადიონის ღირებურობის ო. თორდინავა თვითონ ამოინდა წამქეზების როლი. როცა მსაჯებმა მოითხოვეს ისინი რაიონის ფარგლებს გარეთ გაეცილებინათ, ამაზე მასპინძელთა კატეგორიული უარი მიიღეს, მსაჯებს შესთავაზეს ორამჩრელთა გუნდის ავტობუსით გამგზავრებულიყვნენ. სწორედ ამ ავტობუსს აედევნა მსუბუქი მანქანით ხულიგანთა ერთი ჯგუფი, რათა მსაჯებთან „სახლოლო ანგარიში“ გზაში გაესწორებინათ.

ამ ინციდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველო არკვევს, მაგრამ საკითხავიც სწორედ ესაა: რატომ უნდა უტოლდებოდეს საფეხბურთო მინდორზე მომდინარე ამბები სისხლის სამართლის დანაშაულს, რატომ უნდა მიდოდეს საქმე ამ ზომამდე? რა თქმა უნდა, მსაჯებიც ცდებიან, მათ შეცდომებს კარგად ვხედავთ გაცილებით უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებებში, მაგრამ განა დასაშვებია საქართველოს რაიონების ფეხბურთის მოყვარულები ერთმანეთს წაეცილონ არბიტრის შეცდომისთვის, საქმე ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე მიდგეს და ავტომანქანით ვხედავთ ადამიანებს? ფეხბურთი ემოციური თამაშია, მაგრამ ყოველგვარ ემოციას, ყოველგვარ ვენებათაღელვებას აქვს თავისი საზღვარი. ამიტომაც, სწორად მოიქცა სპორტტექნიკური კომისია, როდესაც გეგმეკორის სტადიონს დისკვალიფიკაცია მისცა 5 კალენდარული მატჩით.

სასჯელი სავსებით დამსახურებულია წრეგადასულ გულშემატკივრთა გამოიხიბი გეგმეკორის

„სალხინოს“ წევრთაგან მინდორზე მოუწყეს თამაში და მატჩისას ნი გულშემატკივრებმა ამ ხანს განმავლობაში უფეხბურთოდ დარჩებიან.

სპორტტექნიკურმა კომისიამ გეგმეკორის რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე საკითხი დააყენა სტადიონის ღირებურობის ო. თორდინავას სამუშაოზე დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ. საყვედურთა გამოცხადება „სალხინოს“ მწვრთნელს დ. დარჩანას იმის გამო, რომ მან სათანადო ზომების არ მიმართა ინციდენტის თავიდან ასაცილებლად, არაფერი იღონა ხულიგან გულშემატკივრთა დასაშოშინებლად.

მათავსებლად წერილი მოვიდა იმის თაობაზე, რომ იჭაური „საირმესა“ და ქობულეთის „ნარინჯის“ მატჩში შეცდომა დაუშვა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ვ. მიმინოშვილმა (თბილისი), რომელმაც არ დანიშნა 11-მეტრიანი სტუმრების კარში, არ აღკვეთა უხეშობა სტუმართა მხრივ.

მუხებდავად იმისა, რომ მაიაკოვსკის „საირმე“ და ქობულეთის „ნარინჯი“ მეორე ჯგუფის წარმომადგენლები არიან, თამაშს ესწრებოდა ოფიციალური ინსპექტორი, საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი ფეხბურთში ვ. შავდია. ინსპექტორმა აღნიშნა, რომ ვ. მიმინოშვილმა მატჩი ჩაატარა მაღალ სპორტულ დონეზე, 11-მეტრიანის დანიშნისთვის მას საფუძველი არ ჰქონია.

გარდა ამისა, მატჩის ოფიციალური ოქმში „საირმის“ მწვრთნელს არ ჩაუწერიათ რაიმე პრეტენზია მსაჯის მისამართით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ თავის სხდომაზე გადაწყვიტა კიდევ უფრო გაამძიეროს მუშაობა სპორტთვით პირველთაგან მონაწილე გუნდებთან მოთამაშეთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ჩვენს სტადიონებზე უნდა დამყარდეს სრული წესრიგი, გაამძიერდეს მწვრთნელთა და სპორტული მუშაკთა პასუხისმგებლობა ყოველ კონკრეტულ მატჩში.

ავტობუსის ჩამოვარდნი

ჩანოსლოვკიაში დამთავრდა 18 წლის ასაკამდე ჰაბუკ ფეხბურთელთა ვერობის ჩემპიონატი. გათამაშების ფინალურ მატჩში, რომელიც ქალაქ ფრიდეკ-ნისტეკში შედგა, ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და პორტუგალიის ნაერები გუნდები.

გადამწყვეტი მატჩის 55-ე წუთზე პინტუმ ბურთი გაიტანა საბჭოთა გუნდის კარში. ამ წარმატ-

ბას პორტუგალიელები კარგა ხანს ინარჩუნებდნენ, მაგრამ 78-ე წუთზე საბჭოთა ფეხბურთელთა ერთ-ერთი შეტევა საბასუხო გოლით დამთავრდა — 1:1.

ვერობის ჩემპიონის გამოსავლენად საჭირო გახდა დამატებითი დრო დანიშნა. 103-ე წუთზე პორტუგალიელთა კარში მეორე ბურთი გაიტანა ნიკოფოროვა, ხოლო

მატჩის დასასრულს სალენკომ მე-სამედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში. 3:1 — გაიმარჯვეს საბჭოთა ჰაბუკმა ფეხბურთელებმა.

ჩვენს ნაერებს ხელმძღვანელობენ მწვრთნელები ბ. იგნატევი და ე. კოტელონიკოვი. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ო. თეთრაძე და ბ. თედევი.

„სპარტაკი პერალი“: ტრადიციები გრძელდება

გამართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების გამოტოვებული მატჩი კიროვკანის „ლორსა“ და ანაპის „სპარტაკს“ შორის. გამარჯვება „ლორსა“ — 3:0.

ამვე ლიგის IX ზონის გადაღებული შეხვედრები ასეთი ანგარიშებით დამთავრდა: „ქიაფაზი“ (კიროვკანი) — „გოიაზანი“ (ყაზახი) 3:0; „ბაქინევი“ (ბაქო) — „ხაზარი“ (სუშევილი) 1:1; „სოკოლო“ (სარატოვი) — „ტექსტილშიკი“ (კამიშინი) 5:1; „გოიაზანი“ (ყაზახი) — „თურგი“ (გრძონო) 3:0.

IX ზონის გათამაშების ცხრილი

თ. მ. ფ. ვ. ბ. ქ.	სოკოლი	ტორპედო	მეტალურგი	ქიაფაზი	ბაქინევი	სპარტაკი	გოიაზანი	ლოკი	ხაზარი	ტორგი	ბაქინევი
15	11	8	1	40-16	25	13	10	2	1	28-10	22
14	10	1	3	32-10	21	13	8	1	4	30-12	17
15	7	3	5	24-15	17	15	7	3	5	25-23	17
15	7	1	7	23-21	15	15	7	1	5	25-25	15
15	5	4	6	18-18	14	13	6	1	6	20-19	13
14	5	3	6	19-20	13	14	3	4	7	16-24	10
12	3	6	11-21	9	15	8	1	11	13-21	9	
15	2	1	12	16-22	5	18	1	2	10	6-35	4

ეს ბიჭები სულ რაღაც 7-8 წლისა არიან, მაგრამ როგორც კი დაეღობათ ნებისმიერ მათგანს ფეხბურთზე, მაშინვე იგრძნობ, რომ თქვენთან მონაუბრე არის მრავალი მისი თანატოლი თუ არა მართლ ბურთის თამაშზე უსაზღვროდ შეყვარებული ბიჭი, არამედ ის, ვინც კარგად იცის თავისი საქმე და გვიმტკიცებს, რომ თანამედროვე ფეხბურთი ინტელექტუალთა თამაშია. თითოეულ მათგანს შეუძლია დაწვრილებით გაიმბოს ახლანდელმა გამოთვლით ვერობის ჩემპიონატის ნებისმიერ ეპიზოდზე, — ისინი ახლაც დაეობენ ვინ უფრო ძლიერია — მარტო ვან ბასტენი თუ რუულ გულტი...

სწორედ ფეხბურთის სიყვარულმა მოიყვანა თბილისის ვერის უზნის ეს მოუსვენარი ბიჭები ბორის პაიჭაძის სახელობის კლუბ „სპარტაკი“ ვერელში. ახლა კი ისინი ბათუმში არიან შეკრებაზე.

— კლუბი უკვე 12 წელია არსებობს თბილისის კალინინის რაიონის № 70 საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოსთან, — თქვა მისმა დამაარსებელმა და მწვრთნელმა ვლადიმერ კოპალიანმა. — ახლანდელი „ვერელები“ კლუბის მესამე თაობაა. ჩვენი ამოცანა ყოველთვის იყო ის, რომ გავგზავრდოთ არა მარტო ფეხბურთელები, არამედ პარამნიულად განვითარებული ბი-

რთვები. მჭიდრო კონტაქტები გვქვს ოჯახებთან, სკოლებთან, თანამედროვე ახალგაზრდა უნდა აზროვნებდეს ფართოდ, ჰქონდეს საკუთარი თვალსაზრისი, ყოველივე ამას კი ბავშვობიდანვე ეყრება საფუძველი. და ყველაფერი დისციპლინით უნდა დაიწყო.

იმას, რომ დისციპლინა აქ სათანადო დონეზეა, დაერწმუნდით, როცა ვესტუმრებთ კლუბს, ბავშვები დაბინავებული არიან ბათუმის სა-

სტუმრო „ავტობორტში“, მათთვის საყარჩონოდ გამოყოფილია ხელვაჩაურის რაიონის პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების სპორტკომპლექსის მოედანი.

— მანძილი სასტუმრომდე კარგადილია, მაგრამ ჩვენ ფეხით სიარულს ვაჩვენებთ, — თქვა შემდეგ ვ. კოპალიანმა, — ესეც თვისებური ვარჯიშია. საერთოდ დღეში ორჯერ ვემეცადინებთ: დი-

ლით — საერთო ფიზიკური მომზადება, საღამოთი — ბურთით ვარჯიში. თავისუფლად დროს კი ბიჭებს ელით საინტერესო წიგნები, სხვადასხვა გასართობი, ნახონ საბავშვო სატელევიზიო გადაცემები, მოაწყონ ექსკურსია ქალაქში. ერთ სიტყვით, ყველაფერი კმაყოფილი არიან. დიდ მადლობას უხდით მასპინძლებს, კერძოდ, ვერის აპარის საოლქო კომიტეტს, კომპავშირულ მუსკეტს.

მათავს წლის ისტორიის მანძილზე „პატარა ვერელის“ ფეხბურთელებმა სამჯერ გაიმარჯვეს ტყუვის ბურთის „ტურნირში“, იყვნენ საქართველოს ჩემპიონები საბავშვო სპორტსკოლების მოსწავლეთა შორის, მოიპოვეს „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის გამარჯვებულის წოდება. „პატარა ვერელი“ საუკეთესოდ აღიარეს ქვეყნის საბავშვო-სპორტულ კლუბებს შორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

პატარა ვერელების ახლანდელი თაობა ეს-ეს არის დგამს პირველ ნაბიჯებს სპორტში, მაგრამ ყოველ მათგანი ოცნებობს განაგრძოს თავისი კლუბის გამარჯვების ტრადიციები, ჯერჯერობით კი მათ, უბრალოდ, ძალიან უყვართ ფეხბურთი.

„პატარა ვერელის“ ნორჩი ფეხბურთელები ვარჯიშის დროს. (საქინფორმის ფოტოკორნიკა). **თ. გენაძე,** (საქინფორმი).



ფანტასტიკური უილკინსი

თბილისის მატრის შემდეგ „ატლანტა პოუქსმა“ შეესება მიიღო: მეორე შეხვედრის წინ, გვიან ღამე, ვილინუსმა ჩაფრინდა პროფესიონალი კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვარსკვლავი „ფანტასტიკური ნიკი“ — დომენიკ უილკინსი, აერობორტიდან ამერიკელი კალათბურთელი პირდაპირ სასტუმროში მიიყვანეს, დილით კი იგი უკვე მოედანზე იდგა და სხეუბთან ერთად მთელი დატვირთვით ვარჯიშობდა.

უილკინსს ნაბ-ს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ხელში არ აუღია ბურთი და მთელი ამ ხნის მანძილზე თავის სარეკლამო საქმეებს ავგარებდა, მაგრამ როგორც კი დრო გამოჩნდა, თანაგუნდელთა დასანებრებლად გამოეშურა. პროფესიონალურ მოვალეობის გრძობა საოცრად აქვე განვიტარებულ, თორემ მას შეეძლო ვილინუსში არც

კი ჩაფრინდიყო „ვიცილი, რომ გუნდს დატვირთვით და ამიტომაც ვჩქარობდი“. — განუცხადა უილკინსმა ერთ-ერთ ადგილობრივ ჟურნალისტს.

არა და, უილკინსი რომ საჭირო კალათბურთელი ყოფილა, ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა საბჭოთა ნაკრებისა და „ატლანტა პოუქსის“ მეორე მატჩმა. იგი ერთხელ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

ვილინუსში საბჭოთა კალათბურთელებმა უკეთ ითამაშეს, მაგრამ ამერიკელებმა, ამჯერად, უფრო ძლიერი შთაბეჭდილება დატოვეს. ყოველ შემთხვევაში მატრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ატლანტელთა მწვერულმა მაიკ ფრატელომ აღნიშნა, რომ ხომილუსის თამაში მთელი გუნდისთვის სიურპრიზი იყო და ბრძოლის სიმძაფრეც სწორედ მისმა ფანტასტიკუ-

რმა შესაძლებლობებმა განაპირობა. ასე იყო თუ ისე, პირველი ნახევრის შემდეგ მასპინძლები 2 ქულით დაწინაურდნენ (49:47), თუმცა ტაიმის შუაგულში ისინი 10 ქულასაც კი იკარკნენ. შეხვედრის შემდეგ მდგომარეობა გათანაბრდა და მატჩისთვის განკუთვნილი ძირითადი დრო ფრედ 90:90 დამთავრდა.


დამატებითი ხუთი წუთი პროფესიონალებმა შეუდარებლად უკეთ ჩაატარეს და ლამაზი გამარჯვებაც მოიპოვეს — 110:105, ამ დღეს ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: საბჭოთა ნაკრებში — ხომილუსი (26 ქულა), ტრაიანოვი (21) და მარჩულონისი (18), ამერიკელებში — უილკინსი (29), ლივინგსტონი (21) და რივერსი (13).

დღეს მოსკოვში ამერიკელი პროფესიონალები ბოლო შეხვედრის ჩაატარებენ (ოთხ ტაიმს, 12-12 წუთით).

დიმიტრი კავსოვი

არ გვეგონა, რომ იგი ასე მაღალ წაიღოდა ჩვენთან. საქმე მხოლოდ ის კი არ იყო, რომ დიმიტრი კავსოვი სულ 82 წლისა გახლდათ, არამედ უმოთხრებლად ის, რომ იგი იშვიათი ფიზიკური მონაცემებითა და წანმრთელობით გამოირჩეოდა.

შესაშურად პუნქტუალური, ყურადღებიანი და კეთილი კაცი იყო. არავის აწყენინებდა, თუმცა დიდი პრინციპულობითაც გამოირჩეოდა.



უღტურის ინსტიტუტში. აქვე დატოვეს კათედრაზე ასპირანტად, მერე უფროს მასწავლებლად დაინიშნეს.

ჩამდენიმე მედლისა და საპატიო ნიშნის კავალერი, სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიების მსახი, სპორტის ოსტატი ძალოსნობაში, დიმიტრი კავსოვი ბოლო ორ წელიწადს რესპუბლიკური უმაღლესი დაოსტატების № 2 სპორტული სკოლის უფროს მეთოდისტ-კონსულტანტად მუშაობდა. იგი ამ პოსტზეც საყვარელი საქმისა — ფიზიკურ-ინფორმაციისა და სპორტის — ისტორიკული გუზავი იყო, როგორც ყველა დანარჩენ ამდღევანე, სადაც კი უმოღვაწეო ამაღალკვალი-ფიციურ სპეციალისტსა და დიდუბუნებოვან ადამიანს.

ჩამდენიმე მედლისა და საპატიო ნიშნის კავალერი, სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიების მსახი, სპორტის ოსტატი ძალოსნობაში, დიმიტრი კავსოვი ბოლო ორ წელიწადს რესპუბლიკური უმაღლესი დაოსტატების № 2 სპორტული სკოლის უფროს მეთოდისტ-კონსულტანტად მუშაობდა. იგი ამ პოსტზეც საყვარელი საქმისა — ფიზიკურ-ინფორმაციისა და სპორტის — ისტორიკული გუზავი იყო, როგორც ყველა დანარჩენ ამდღევანე, სადაც კი უმოღვაწეო ამაღალკვალი-ფიციურ სპეციალისტსა და დიდუბუნებოვან ადამიანს.

საპატიველს ნახელმწიფო საორტაომიტები, ძალოსნობის რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.

ოლიმპიური მოზაიკა

ლუისისა და ჯონსონის ბეგებები

გადაწყვეტილება მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიიღეს. ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონს კარლ ლუისსა და მსოფლიოს ჩემპიონსა და რეკორდსმენს ბენ ჯონსონს არავითარი სურვილი არა აქვთ ერთმანეთს შეხვდნენ სეულის სტარტებამდე. მეტოქეებში დაუსწრებელი „ფსიქოლოგიური ომი“ მიმდინარეობს.

ლენდონი და ედუარდო ალბილაი ბასკალს

სტარტონი. ამერიკელი ჯიმი კონორსი საერთაშორისო ჩოგბურთის დღემდე დაუმხოველი რეკორდსმენია — მსოფლიოს უძლიერესის სახელს იგი 159 კვირის მანძილზე ფლობდა. ამ რეკორდის გაუმჯობესება ჯერჯერობით შეუძლო მხოლოდ იგან ლენდს. მსოფლიო კლასიფიკაციაში № 1 ჩოგბურთელად იგი 150 კვირის განმავლობაში იწოდებოდა.

და აი, სრულიად მოულოდნელად, ლენდმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა. პირველობა კი უიბლდონის წლევეანდელ ჩემპიონს სტეფან ედუარდს დაუთმო. ეს მოხდა სტრეტონის (აშშ) საერთაშორისო ტურნირის მეორე დღეს, როცა ლენდო დამარცხდა საერთაშორისო კლასიფიკაციაში 150-ე ადგილზე მყოფ როჯერ სმიტთან (ბავაშის კუნძულები) — 2:6, 2:6.

ბარლ ლუისი: „ვეფიქრობ ოლიმპიადზე 100 მეტრი 9,81 წამში დავედრო. ჯონსონი ვერასდროს გაიმეორებს რომის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგს. არა მგონია, რომ რაიმე აზრი ჰქონდეს ჩვენს შეხვედრას ოლიმპიადამდე. შეჯიბრებებს, რომლებიც წინ უსწრებს ოლიმპიურ თამაშებს, მხოლოდ საწვრთნელი მნიშვნელობა აქვს და არასდროს გამოხატავს სპორტსმენის ნამდვილ შესაძლებლობებს.“

მოსკოვში მიმდინარე სსრ კავშირის მოქალაქე ვაჟთა 55-ე ჩემპიონატის გათამაშების ცხრილს 3 ტურის შემდეგ სათავეში მოექცა მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, რომელსაც 2,5 ქულა აქვს. 2 ქულა მოაგროვა ლენინდ იუ-

დასინმა. მსოფლიოს ექსპეტიონ ანატოლი კარპოვს ერთი ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს. სუსტად თამაშობს ტურნირის უხუცესი მონაწილე, მსოფლიოს ექსპეტიონი ვასილი სმისლოვი. მან სტარტზე უკვე 2 დამარცხება გა-

ნიცადა. რაც შეეხება მსოფლიოს კიდევ ერთ ექსპეტიონს — მიხეილ ტალს, იგი ავადმყოფობის გამო გამოეთიშა ტურნირს, ხოლო მის ნაცვლად თამაშობს ახალგაზრდა ოდესელი დიდოსტატი ვიანესლავ გინგორნი.

რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.

აბრ ლუისი: „ვეფიქრობ ოლიმპიადზე 100 მეტრი 9,81 წამში დავედრო. ჯონსონი ვერასდროს გაიმეორებს რომის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგს. არა მგონია, რომ რაიმე აზრი ჰქონდეს ჩვენს შეხვედრას ოლიმპიადამდე. შეჯიბრებებს, რომლებიც წინ უსწრებს ოლიმპიურ თამაშებს, მხოლოდ საწვრთნელი მნიშვნელობა აქვს და არასდროს გამოხატავს სპორტსმენის ნამდვილ შესაძლებლობებს.“

ჯარ მხოლოდ სამ ფონაში

მოსაი. სამბისტა 41-ე საკავშირო ჩემპიონატის სტარტი მოულოდნელი შედეგებით აღინიშნა. პირველ სამ ფონაში ვერც ერთმა შარშანდელმა ჩემპიონმა უმაღლესი ტიტული ვერ შეინარჩუნა. ოქ-

როს მედლები პირველად მოიპოვეს: 48 კგ წონაში — 19 წლის ბაქოელმა ჯეიხუნ მამედოვმა, 62 კგ-ში — 20 წლის კიროვანიელმა გავიჯ კახარაძემ და 90 კგ-ში — 21 წლის ლენინგრადელმა ტაგირ აბ-

დულაევმა. როგორც ხედავთ, სამივე ჩემპიონი ახალგაზრდაა. ჩემპიონატის გახსნის დღეს ადგილობრივმა გულშემატკივრებმა დიდი სპორტიდან გააცილეს მსოფლიოს სამგზისა და სსრ კავშირის ცხრილის ჩემპიონი, მსოფლიოს თასის ოთხგზის მფლობელი ალექსანდრე პუშნიცა. ვეტერანმა სპორტსმენმა 39 წელს გადააბოჯა. ჩემპიონატი კვირას დამთავრდება.

თბილისის სამსპორტო-სამოგზაურო ბიურო გათამაზობს

მოგზაურობას ტურისტული მატარებლით „საქართველო“, რომელიც 13 სექტემბერს დაიწყება, 20 დღის განმავლობაში ტური-სტებს გააცნობს ციმბირის ლამაზ მხარეს. მოგზაურობის მარშრუტია: თბილისი — ვოლოგრა — ჩელიაბინსკი — ომსკი — ნოვოსიბირსკი — ტომსკი — ირკუტსკი — კრასნოიარსკი — ომსკი — ვოლოგრა — თბილისი. ამ მოგზაურობის შედეგად ტურისტები გაეცნობიან ციმბირის მარგალიტს — ბაიკალს ტბას. საგზურის ღირებულება 258 მანეთია. საგზურის ღირებულებაში შე-გონებით, სამჯერადი კვება ვაგონ-რესტორანში და საექსკურსო მომსახურება. მატარებლის მოძრაობა უმეტესწილად გათვალისწინებულია ღამის საათებში, რათა ტურისტებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ ექსკურსი-ებში და ღირსშესანიშნავი ადგი-ლების დათვალიერებაში.

საგზურები იყიდება ნაღდ ან-გარიშზე და გადარიცხვით. მიი-ღება ინდივიდუალური და კოლექ-ტიური შეკვეთები.

დაწერილებით ცნობების მიღება შეგიძლიათ საგზურების რეალი-ზაციის განყოფილებაში.

ჩვენი მისამართია: თბილისი, მეტეხის აღმართი №4. ტელ: 74-40-67.

ბან. ჯონსონი: „სერიოზულ-მა ტრავმამ წინასაოლიმპიადო წვრთნის რეჟიმში არსებითი ცვლი-ლებები შეიტანა, თუმცა ეს ოდ-ნავადაც არ მაწუხებს. თავისუფა-ლი დრო სარეკლამო საქმეების მო-გვარებას მოვანდომე. ახლა ვარ-ჯიშს შევუდგები და სეულის სტარ-ტებისთვის ჩვეულ ფორმაში ვი-ქნები. ლუისის დასამარცხებლად ასეთი გრაფიკიც საყვებით. საკამ-არისია.“

შედეგები - ქიმიკალი

— სსრ კავშირი, პოლონეთი, ბუ-ღარეთი და იტალია, გოგონებში — სსრ კავშირი, რუმინეთი, იტ-ალია და ბულგარეთი.

ლენდონი. შარშან ირლანდი-ელმა ველოსიპედისტმა სტეფენ როჩმა „ტურ დე ფრანსი“ და „ჯირო იტალია“ მოიგო. წლევეან-დელი შეჯიბრებების სტარტზე ტრაგედიის გამო იგი არ გამოსულა. ახლა როჩი მომჯობინდა და მო-ნაწილეობას მიიღებს დიდი ბრი-ტანეთის მრავალდღიან ველორობ-ლაში.

მოსკოვი. ტანმოვარჯიშეთა სა-კავშირო თასის გათამაშებაში სა-ვალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდა ლენინგრადელი ელ-ენა ქუშნოვა. მას ჭერჯერობით 39,15 ქულა აქვს.

ჯონსონი ოლიმპიურ ჩემპიონზე უფრო ახალგაზრდაა და თავის გე-გემბსაც ამის გათვალისწინებით არგუთობს. რაც შეეხება ლუ-ის, სეულის ოლიმპიადამდ მისთვის უკანასკნელი იქნება. თამაშების შე-მდეგ იგი საბოლოოდ მოაწესრი-გებს თავის ფინანსურ მდგომარ-ეობას და შესაძლოა, ბიზნესმენი გახდეს.

სევილია. წყალბურთელთა სა-ერთაშორისო ტურნირზე საბჭოთა სპორტსმენებმა სამი შეხვედრა ჩა-ატარეს. ესპანელებთან მატჩი ფრედ — 12:12 დაამთავრეს, გფრ-ისა და ავსტრალიის გუნდები კი დაამარცხეს შესაბამისად 16:10 და 12:10. სამი ტურის შემდეგ დაწი-ნაურდნენ საბჭოთა და ესპანელი წყალბურთელები, რომლებსაც 5-5 ქულა აქვთ.

სალნიური (ქანადა). იუნიორ მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატ-ში პირველი ოქროს მედალი მო-იპოვა 18 წლის ეთიოპელმა ადის აბებემ. 10 კილომეტრი მან 28.42, 13-ში გაიბრინა.

პაბაბ. წლევეანდელ „ტურ დე ფრანსში“ გამარჯვებულმა ესპანე-ლმა პედრო დელგადომ მონაწილ-ეობა მიიღო აქ მიმდინარე ველო-სიპედისტთა შეჯიბრებაში (120 კმ-ზე) და მეორე ადგილი დაიკავა. გამარჯვება კი იმავე „ტურ დე ფრანსის“ მეორე პრიზიორს, პო-ლანდიელ სტივენ როოქსს დარჩა — 2:47,17. დელგადო მას 14 წა-მით ჩამორჩა.

პარსანგალსკი. აქ დაწყებულ ძი-ულისტ ქალთა საკავშირო ჩემპი-ონატის პირველი ოქროს მედლები მოიპოვეს: 72 კგ-ში გალინა სიფე-ნკოვა (მინსკი), მძიმეში—სვეტლანა გუნდარენკო (ჩელიაბინსკი).

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 330098
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დღემწეებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩადაციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

63050
050430
66435

საქართველოს კპ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენ-ისა და სტამბა. 330098, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოცხეტუ-რი წესით ხაგზეთო კორპუსში: ზოშარულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05468